სოციალური საწარმოს განვითარების საგრანტო კონკურსი

1. ზოგადი ინფორმაცია:

"საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი" არის საზოგადოებრივი, არამომგებიანი, არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) პროგრამული პრიორიტეტია 2009 წლიდან. პროგრამის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს ინტენსიურ კონსულტაციებს.

წელს, კოვიდ (COVID-19) პანდემიით გამოწვეული ახალ რეალობასთან გამკლავების და კრიზისის დაძლევის მიზნით საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) აცხადეს საგრანტო კონკურსს მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის. კონკურსის მიზანია: მხარი დაუჭიროს მოქმედ სოციალურ საწარმოებს ეფექტურად დაძლიონ კოვიდ 19-თან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამოიმდინარე წარმოქმნილი პრობლემები, შეიმუშაონ და განახორციელონ სოციალური ბიზნესის განვითარების ახალი და ინოვაციური მიდგომები, რომელიც შესატყვისი იქნება სოციალური საწარმოს რეალურ საჭიროებებთან.

საგრანტო კონკურსი ეხმიანება კოვიდ 19 პანდემიის ფონზე გაჩენილ ახალი შესაძლებლობებს ორი ძირითადი მიმართულებით 1) **სოციალური საწარმოს განვითარება** - რაც გულისხმობს საწარმოს პროდუქტის ან მომსახურების დახვეწას, ახალი მიდგომით საქმიანობის გაგრძელებას, ტექნოლოგიურ და ინტერნეტ სივრცის გამოყენებას, სამუშაო პროცესში ცვლილებების შეტანას და ა.შ; 2) **სოციალური საწარმოს გაფართოვება** - რაც გულისხმობს ახალი პროდუქტის/მომსახურების შექმნას, ახალი რეგიონის ათვისებას, საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და ა.შ.

2. კონკურსის ეტაპები, განრიგი და მონაწილეობის უფლება

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პროდუქტის მწარმოებელ, ასევე სოციალური სერვისის მიმწოდებელ სოციალურ საწარმოებს.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

- არამომგებიანი (არასამეწარმეო) იურიდიული პირის სტატუსის მქონე სოციალურ საწარმოს;
- სამეწარმეო იურდიული სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს, რომლის სადამფუძნებლო და საწესდებო დოკუმენტში ნათლად ჩანს სოციალური მისიის უპირატესობა;

- სოციალურ საწარმოს რომლის შემოსავლების სულ მცირე 50% მიღებულია სამეწარმეო საქმიანობიდან 2019-2020 წლებში (ან მხოლოდ 2019 წელს, თუ 2020-ში საქმიანობის სპეციფიკიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, საქმიანობა თითქმის სრულად შეწყვეტილი იყო)
- სოციალურ საწარმოს რომლის საქმიანობა აღემატება 2 წელს;

კონკურსის ფინალურ ეტაპზე დამოუკიდებელი კომისიის მიერ შეირჩევა 4-5 იდეა რომელთა წარმომადგენლებთან მოხდება დამატებითი ინფორმაციის მოძიება და გასაუბრება კომისიის წევრებთან, რის შემდეგაც საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დასაფინანსებლად შეირჩევა 2-3 საუკეთესო სააპლიკაციო განაცხადი[1].

საგრანტო კომისიის მიერ პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით;

- კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გავლენა ბიზნესზე ან/და ბენეფიციარებზე და საჭიროების დასაბუთება - 25 ქულა
- კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული საჭიროების საპასუხოდ წარმოდგენილი პროექტის რელევანტურობა და თავსებადობა/მიზანშეწონილობა - 25 ქულა
- განმცხადებლის გამოცდილება და კონტრიბუცია - 10 ქულა
- მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგები - 20 ქულა
- მოსალოდნელი სოციალური შედეგები - 20ქულა

პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციების, ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალისტებით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, დაფინანსებული სოციალური საწარმოების მონიტორინგი განხორციელდება 16 თვის განმავლობაში. საწარმოს საქმიანობის პირველი 6 თვის მანძილზე, საწარმოს მმართველი გუნდი მიიღებს ინტენსიურ ექსპერტულ დახმარებას ბიზნეს გეგმის განხორციელებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: 2020 წლის 15 დეკემბერი, 18:00 სთ.

3. კონკურსის ფინანსური საკითხები.

სოციალური საწარმოს განვითარებისთვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ფულადი ან სასაქონლო ფორმით) არ უნდა აღემატებოდეს **18 000 ლარს.**

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

- კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ მიმართული აქტივობები რომელიც დაეხმარება საწარმოს მდგრადობის შენარჩუნებაში (მაგ: საწარმოო პროცესების მორგება ახალ მოთხოვნებზე, არსებულ რეალობისთვის მოთხოვნად სერვისის ან პროდუქტის წარმოება, დანერგვა);

[1] გრანტის გამცემი ორგანიზაცია უფლებას იტოვებს არ დააფინანსოს აღნიშნული რაოდენობის პროექტი თუ სიცოცხლისუნარიანობა და ბიზნეს გეგმის ხარისხი არ იქნება შესაბამისობაში პროექტის მოთხოვნებთან.

- ონლაინ საქმიანობის მექანიზმების დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა (ტელეფონები, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ კონფერენციების სერვისების გამოწერა და სხვა.);
- ინსტრუმენტებისა და მომსახურებების შემუშავება ბენეფიციარებისთვის, ონლაინ ან დისტანციურად, უშუალო დახმარების აღმოჩენის მიზნით ან ბენეფიციარებისთვის კოვიდ-19 პირობებში საჭირო შესაბამისი ონლაინ გარემოს შექმნა/დახმარება;
- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;

შესაბამისი დასაბუთებისას შესაძლებელია დაფინანსდეს:

- ფართის იჯარა არაუმეტეს ბიუჯეტის 20%-სა;
- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასი არაუმეტეს ბიუჯეტის 15%-სა;

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის;

- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება;
- სარემონტო სამუშაოები;

4. **პროექტის სააპლიკაციო განაცხადის წარდგენა**

საპროექტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: social.enterprise.ge@gmail.com

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: **2020 წლის 15 დეკემბერი, 18:00 სთ.**

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს თანდართული სააპლიკაციო ფორმის შესაბამისად.

არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებისთვის.

საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებულ პირებთან ჩატარდება ონლაინ Zoom- პლატფორმის გამოყენებით **7 დეკემბერს 12:00 საათზე.**

დაინტერესებული ადამინებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არაუგვიანეს 6 დეკემბრისა:

რეგისტრაციის ლინკი: https://us02web.zoom.us/meeting/register/tZYod-yprjMrHtyzHWuWYx6lc024HCr4AYN4

სატელეფონო კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ხუთშაბათს და პარასკევს, დილის 10:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე.

ტელ: +995 32 2399019/18, ანა ილურიძე.